

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	14
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	20
6. ძირითადი საშუალებები	26
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	27
9. კაპიტალში ცვლილებები	27
10. მიღებული სესხები	28
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
12. ამონაგები	29
13. სხვა შემოსავალი	30
14. მიწოდებული ელექტროენერგიის თვითღირებულება	30
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31
16. ფინანსური ხარჯები და შემოსავალი	31
17. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	31
18. დაკავშირებული მხარეები	31
19. პირობითი ვალდებულებები	32
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებელს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც, საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებულ გარემოებათა ამსახველი აზრები

როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანიას აქვს ლიკვიდურობის პრობლემები, კერძოდ, მიმდინარე ვალდებულებები არსებითად აღემატება მიმდინარე აქტივებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ 2025 წლის 24 მარტს მიიღო ფინანსური მხარდაჭერის წერილი მფლობელისგან. ამ წერილის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, მფლობელი მზად არის უზრუნველყოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს

ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების



სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

31 მაისი 2025

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



(ლარში/ევროში)

		31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	შენიშვნა	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	6	33,703,157	11,500,429	34,614,795	11,634,052
		33,703,157	11,500,429	34,614,795	11,634,052
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგი		6,682	2,280	6,513	2,189
საგადასახადო აქტივი		5,653	1,929	10,840	3,643
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	734,399	250,597	720,738	242,240
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	70,882	24,187	589,221	198,038
		817,616	278,993	1,327,312	446,110
სულ აქტივები		34,520,773	11,779,422	35,942,107	12,080,162
კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი		24,984,664	6,639,736	24,984,664	6,639,736
დაგროვილი ზარალი	9	(14,543,907)	(5,267,867)	(15,746,149)	(5,676,237)
წარსადგენ ვალუტაში					
გადაანგარიშების შედეგად		-	2,190,800	-	2,141,571
წარმოქმნილი საკურსო სხვაობა					
სულ კაპიტალი		10,440,757	3,562,669	9,238,515	3,105,070
გრძელვადიანი ვალდებულებები					
მიღებული სესხები	10	-	-	25,131,342	8,446,658
		-	-	25,131,342	8,446,658
მოკლევადიანი ვალდებულებები					
მიღებული სესხები	10	23,704,326	8,088,557	1,093,120	367,398
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	375,690	128,196	479,130	161,036
		24,080,016	8,216,753	1,572,250	528,434
სულ ვალდებულებები		24,080,016	8,216,753	26,703,592	8,975,092
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		34,520,773	11,779,422	35,942,107	12,080,162

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მიმზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 31 მარტი შემდეგი პერიოდის მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

 ლეონა ბიბილური
 ლეონა გოგილაშვილი

10 - 33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში/ევროში)

		31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	შენიშვნა	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	6	33,703,157	11,500,429	34,614,795	11,634,052
		33,703,157	11,500,429	34,614,795	11,634,052
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგი		6,682	2,280	6,513	2,189
საგადასახადო აქტივი		5,653	1,929	10,840	3,643
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	734,399	250,597	720,738	242,240
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	70,882	24,187	589,221	198,038
		817,616	278,993	1,327,312	446,110
სულ აქტივები		34,520,773	11,779,422	35,942,107	12,080,162
კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი		24,984,664	6,639,736	24,984,664	6,639,736
დაგროვილი ზარალი	9	(14,543,907)	(5,267,867)	(15,746,149)	(5,676,237)
წარსადგენ ვალუტაში					
გადაანგარიშების შედეგად		-	2,190,800	-	2,141,571
წარმოქმნილი საკუთსო სხვაობა					
სულ კაპიტალი		10,440,757	3,562,669	9,238,515	3,105,070
გრძელვადიანი ვალდებულებები					
მიღებული სესხები	10	-	-	25,131,342	8,446,658
		-	-	25,131,342	8,446,658
მოკლევადიანი ვალდებულებები					
მიღებული სესხები	10	23,704,326	8,088,557	1,093,120	367,398
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	375,690	128,196	479,130	161,036
		24,080,016	8,216,753	1,572,250	528,434
სულ ვალდებულებები		24,080,016	8,216,753	26,703,592	8,975,092
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		34,520,773	11,779,422	35,942,107	12,080,162

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 31 მარტი შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ლაშა ბიბილური
ფინანსური დირექტორი	_____	თეონა გოგილაშვილი

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში/ევროში)

	შენიშვნა	2024		2023	
		ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ამონაგები	12	5,317,367	1,806,171	4,848,870	1,706,387
მიწოდებული ელექტროენერგიის თვითღირებულება	13	(1,865,803)	(633,765)	(1,712,292)	(602,580)
საერთო მოგება		3,451,564	1,172,406	3,136,578	1,103,807
სხვა შემოსავალი	14	1,399,002	475,204	42,994	15,130
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(577,910)	(196,301)	(603,241)	(212,289)
საოპერაციო მოგება		4,272,656	1,451,309	2,576,331	906,648
ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	16	(2,614,926)	(888,222)	(2,870,500)	(1,010,170)
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	17	(75,250)	(25,560)	12,592	4,431
წლის მოგება/(ზარალი)		1,582,480	537,527	(281,577)	(99,091)
სხვა სრული შემოსავალი					
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად		-	49,229	-	(98,843)
წარმოქმნილი საკუროს სხვაობა		-	49,229	-	(98,843)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,582,480	586,756	(281,577)	(197,934)

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი/ევროში)

	ლარი			ევრო			
	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობა	სულ
31 დეკემბერი 2022	24,984,664	(15,232,367)	9,752,297	6,639,736	(5,499,102)	2,240,414	3,381,048
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(281,577)	(281,577)	-	(99,091)	-	(99,091)
სხვა ცვლილება (მე-9 შენიშვნა)	-	(232,205)	(232,205)	-	(78,044)	-	(78,044)
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობა	-	-	-	-	-	(98,843)	(98,843)
31 დეკემბერი 2023	24,984,664	(15,746,149)	9,238,515	6,639,736	(5,676,237)	2,141,571	3,105,070
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,582,480	1,582,480	-	537,527	-	537,527
სხვა ცვლილება (მე-9 შენიშვნა)	-	(380,238)	(380,238)	-	(129,157)	-	(129,157)
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობა	-	-	-	-	-	49,229	49,229
31 დეკემბერი 2024	24,984,664	(14,543,907)	10,440,757	6,639,736	(5,267,867)	2,190,800	3,562,669

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში/ევროში)

	შენიშვნა	2024		2023	
		ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან					
მოგება დაბეგვრამდე		1,582,480	537,527	(281,577)	(99,091)
კორექტირებები:					
ცვეთა	6	1,034,061	351,245	1,017,299	358,002
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	16	2,432,908	826,395	2,425,693	853,636
ძირითადი საშუალების გაუფასურება		-	-	41,993	14,778
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	16;17	257,268	87,387	432,215	152,103
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		5,306,717	1,802,554	3,635,623	1,279,428
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(13,661)	(4,640)	(203,245)	(71,525)
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(168)	(57)	10,033	3,531
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(103,834)	(35,270)	39,935	14,054
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		5,187	1,762	(7,999)	(2,815)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		5,194,241	1,764,349	3,474,347	1,222,673
გადახდილი პროცენტი	10	(5,515,301)	(1,873,404)	(3,086,214)	(1,086,083)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(321,060)	(109,055)	388,133	136,590
საინვესტიციო საქმიანობა					
ძირითადი საშუალებების შეძენა		(122,423)	(41,584)	(7,768)	(2,734)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(122,423)	(41,584)	(7,768)	(2,734)
ფინანსური საქმიანობა					
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(443,483)	(150,639)	380,365	133,856
ფული და ფულის ეკვივალენტები, 1 იანვარი	8	589,221	198,038	218,994	75,924
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	17	(74,856)	(23,212)	(10,138)	(11,742)
ფული და ფულის ეკვივალენტები, 31 დეკემბერი	8	70,882	24,187	589,221	198,038

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში/ევროში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“ („კომპანია“) დაფუძნდა 2011 წლის ივლისს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400023728.

კომპანიას ფლობს კინტრიშას ჰიდროელექტროსადგურს (კინტრიშა ჰესი), რომელიც მდებარეობს საქართველოში, აჭარის რეგიონში, მდინარე კინტრიშზე. კინტრიშა ჰესის დადგმული სიმძლავრე არის 6.0 მეგავატი. კომპანიამ სამშენებლო ლიცენზია მიიღო 2014 წლი 15 აპრილს. კინტრიშა ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წლის აგვისტოში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „სქაინესტ ჰიდრო“ (12537656, ესტონეთი). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირია ბატონი ოლეგ ოსინოვსკი.

კომპანიის იურიდიული მისამართია ძველი თბილისის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4, საქართველო.

კომპანიის გენერალური დირექტორია ბატონი ლაშა ბიბილური.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განაცხადი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

უწყვეტი ფუნქციონირება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში.

კომპანიას აქვს გარკვეული ფინანსური სიმძნელები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ:

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 14,543,907 ლარს (5,267,867 ევროს) (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 15,746,149 ლარს (5,676,237 ევროს));

- წინა წელთან შედარებით ლიკვიდურობის უარყოფითი ზღვარი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებითად გაიზარდა და შეადგინა 23,125,703 ლარი (7,891,115 ევრო). ლიკვიდურობის უარყოფითი ზღვარი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 616,667 ლარს (207,262 ევროს).

მომზადების საფუძველების შესაბამისობაზე მსჯელობისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო:

- კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, მესაკუთრე მზადაა გასწიოს ფინანსური დახმარება, კომპანიის საოპერაციო საქმიანობის საჭიროების მიხედვით. კომპანიამ მფლობელისგან უკვე მიიღო ფინანსური მხარდაჭერის წერილი.
- მოკლევადიანი ვალდებულებების არსებითი ნაწილი შეადგენს დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებს (იხილეთ მე-18 შენიშვნა) და კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საჭიროების შემთხვევაში გადავადდება დაფარვის თარიღი.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა დღის წესრიგის გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსი არ არსებობს გრძელვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშაებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების განხორციელების შემდგომი განხილვისას, 2024 წლის მაისში, IASB-მ გამოსცა ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში. ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ▶ ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ▶ ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ▶ ფინანსური აქტივები არა-რეკურსული მახასიათებლებით;
- ▶ ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ▶ ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;

- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს იმაზე, თუ როგორ აღრიცხავენ საწარმოები ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტას და როგორ ხდება ფინანსური აქტივების კლასიფიცირება. ცვლილებები საშუალებას აძლევს საწარმოს ვადაზე ადრე მიიღოს მხოლოდ ცვლილებები, რომლებიც ეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და შესაბამის ახსნა-განმარტებებს, ხოლო დანარჩენი ცვლილებები გაითვალისწინოს მოგვიანებით. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ცვლილებები ადრეულ პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობა) დაკავშირებული ან მსგავსი მახასიათებლები.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესებები შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს , აგრეთვე სტანდარტების მოთხოვნებს შორის შეუთავსებლობებს. მოცემული ცვლილებები თავმოყრილია ერთ დოკუმენტში. წლიური გაუმჯობესებები მოიცავს:

- ▶ ჰეჯირების აღრიცხვა მათთვის, ვინც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს (შესწორებები IFRS 1-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება);
- ▶ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის გადავადებული სხვაობის აღრიცხვასთან დაკავშირებით. (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში ცვლილებები);
- ▶ აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი (ფასს 7-ის ცვლილებები);
- ▶ შესავალი და საკრედიტო რისკის გამჟღავნება (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში ცვლილებები);
- ▶ საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (ფასს 9-ში შესწორებები);
- ▶ ტრანზაქციის ღირებულება (ფასს 9-ში შესწორებები);
- ▶ ‘დე ფაქტო აგენტის’ განსაზღვრა (ფასს 10-ში შესწორებები);
- ▶ დანახარჯეთი (ბასს 7-ში შესწორებები);

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

საბოლოო ცვლილებები გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში.

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). 2024 წლის 18 დეკემბერს IASB-მ გამოსცა ცვლილებები, რათა გაეუმჯობესებინა ფინანსური აღრიცხვა კომპანიების მიერ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებების ფინანსური ეფექტების შესახებ, რომლებიც ხშირად სტრუქტურირებულია როგორც ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები (PPAs). ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებები საწარმოებს ეხმარება უზრუნველყონ ელექტროენერგიის მიღება ქარისა და მზის ენერგიის წყაროებიდან. მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები შეიძლება ადეკვატურად არ ასახავდეს, თუ როგორ აისახება ამ კონტრაქტების ეფექტი კომპანიის მუშაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს ამინდის პირობებთან დაკავშირებული უკონტროლო ფაქტორებიდან გამომდინარე. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, IASB-მ შეიტანა მიზანმიმართული ცვლილებები ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებში და ფასს 7 ფინანსურ ინსტრუმენტებში კერძოდ: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, რათა გააუმჯობესოს ამ ხელშეკრულებების გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში. ცვლილებები მოიცავს:

- ▶ „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე;

ეს ცვლილებები ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ცვლილებების ადრეული გამოყენება დასაშვებია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის, შესწორებების გამოყენებამდე საჭიროა მათი დამტკიცება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18 ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა და გამჟღავნება ცვლის ბასს 1-ს ფინანსური ანგარიშგების წარდგენას და სავალდებულოა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

▶ მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ. ფასს 18-ს შემოაქვს მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლისა და ხარჯის ერთეულების კლასიფიცირებისთვის ხუთი კატეგორიის მიხედვით. ეს კლასიფიკაცია იწვევს გარკვეული შუალედური ჯამების წარდგენას, როგორცაა, მაგალითად, შემოსავლისა და ხარჯის ყველა იმ ერთეულის ჯამი, რომლებიც მოიცავს ახალ სავალდებულო „საოპერაციო მოგება-ზარალს“ შუალედურ ჯამს.

▶ ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.

▶ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს, შესრულებული კორექტირებით (მაგ., „კორექტირებული მოგება ან ზარალი“). საწარმოებს მოეთხოვებათ ფინანსურ ანგარიშგებაში MPM-ების გამჟღავნება, მათ შორის MPM-ების რეკონსილაცია ფასს სტანდარტების შესაბამისად გამოთვლილ ჯამებთან ან შუალედურ ჯამებთან.

ფასს 18-ის გამოქვეყნების მიზანია გააუმჯობესოს კომპანიების ანგარიშგებების შედარება და გამჭვირვალობა. ფასს 18-მა ასევე გამოიწვია მცირე ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 19 შეილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 შეილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. დაინტერესებულმა მხარეებმა სთხოვეს IASB-ს, უფლება მისცეს შეილობილ კომპანიას, ანგარიშგებულს დედა კომპანიის მიმართ, რომელიც იყენებს ფასს სტანდარტებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, გამოიყენოს ფასს სტანდარტების შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები საკუთარი ფინანსური ანგარიშგებისთვის. ამ გამოხმაურების გათვალისწინებით, IASB-მ დაამატა პროექტი, რათა შეექმნა საჯარო ანგარიშგებულების გარეშე შეილობილი კომპანიების გამჟღავნების გამარტივებული მოთხოვნები.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

პროექტი დასრულდა ფასს 19-ის გამოცემით, რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. მაგალითად, ფასს 19-ის მიხედვით, საწარმო, რომელსაც აქვს ოპერაციები ფასს 2-ის აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფარგლებში, არ გამოიყენებს ფასს 2.44-52-ის გამჟღავნების მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელია, ამის ნაცვლად, საწარმო გამჟღავნებს მხოლოდ ფასს 19-ის 31-34 პარაგრაფებში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ღონისძიებების აღწერას, აქციების ოფციონების რაოდენობას და საშუალო შეწონილ ფასებს, როგორც ხდება მათი სამართლიანი ღირებულების შეფასება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების დროს და სხვა ზოგად ინფორმაციას ფასს 2-ის ფარგლებში ოპერაციების შესახებ. ფასს 2 ამჟამად შეიცავს 991 სიტყვას მის გამჟღავნების მოთხოვნებში, მაშინ როცა ფასს 19 შეიცავს მხოლოდ 250 სიტყვას, იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან მიმართებაში, რომელიც ეხება ფასს 2-ის განმარტებებს. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- ▶ საწარმო არის შვილობილი კომპანია (როგორც განსაზღვრულია IFRS 10-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართი ა-ში);
- ▶ საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- ▶ საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს. საწარმოს აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება, თუ:
- ▶ მისი სასესხო ან კაპიტალის ინსტრუმენტები ივაჭრება საჯარო ბაზარზე ან ასეთი ინსტრუმენტების გამოშვების პროცესშია; ან
- ▶ იგი ფლობს ფართო ჯგუფის გარე პირებისთვის აქტივებს ფიდუციური (მართვის) უფლებამოსილებით, როგორც თავის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას;

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ბ) სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია როგორც იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა - ლარი), ასევე წარსადგენ ვალუტაში - ევროში.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. წარსადგენ ვალუტაში ოპერაციების აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის საშუალო კურსს. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

წარსადგენ ვალუტაში (ევროში) გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობა წარდგენილია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობა“

ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულ საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ კურსს.

	31.12.2024	31.12.2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753
ლარი/1 ევრო (საშუალო)	2.9440	2.8416

ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ელექტროენერგიის გაყიდვა

კომპანია ყიდის ელექტროენერგიას, რომელსაც აწარმოებს ჰიდროელექტროსადგურით. ელექტროენერგია იყიდება ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე და ელექტროენერგიის რეალიზაცია ერთადერთი სახელშეკრულებო ვალდებულებაა. შემოსავალი აღიარებულია, როდესაც ელექტროენერგიაზე კონტროლი მომხმარებელს გადაეცა - ელ. ენერგიის მიღების პუნქტი. მომხმარებლისთვის გადაცემა ნიშნავს გამოშვებული ელექტროენერგიის გამოყენებას მომხმარებლის მიერ.

შემოსავლები აისახება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლების საიმედოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლისთვის მიყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე. შემოსავალი ფასდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგების ფასით. ანაზღაურება ხდება მოთხოვნადი როდესაც იურიდიული უფლება გადაეცემა მომხმარებელს.

გამოყენებული გათავისუფლება

არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფელისთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე დებიტორების რაოდენობიდან გამომდინარე.

4. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისგან მისაღები თანხები

აღნიშნულ დებიტორზე მიწოდებით ფორმირდება სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი. აღნიშნულ მოთხოვნებს გააჩნიათ სპეციფიკური რისკიანობის მახასიათებელი, რომელიც განსხვავდება კომპანიის სხვა დებიტორებისგან. იგი წარმოადგენს 100%-ით სახელმწიფოს მიერ ფლობილ კომპანიას. კომპანია არ აღიარებს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რადგან არ გააჩნია აღნიშნული მოთხოვნებიდან მისაღებ თანხებთან დაკავშირებული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილება.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არიან წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ აღიარებს გაუფასურების ზარალს ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას არსებითად განსხვავებული პირობებით ანაცვლებს სხვა, ან არსებითად შეცვლილია არსებული ვალდებულების პირობები, ასეთი გაცვლა ან შეცვლა განიხილება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება და შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხის მიღება ხდება დამფუძნებლისგან. ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული სხვაობა აღიარდება კაპიტალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთ ჩათვლისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იგი კაპიტალიზდება განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ჰიდროელექტროსადგური და ელექტროგადამცემი ხაზები	25-50
დანადგარები და ტექნიკური მოწყობილობები	5-10
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალება	5
სხვა	5-10
მიწა	არ იცვითება

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს და საწიროების მიხედვით კორექტირდება.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში - „გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა“. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები.

პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებს.

	31.12.2024		31.12.2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	70,882	24,187	589,221	198,038
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	720,354	245,804	708,322	238,067
	791,236	269,991	1,297,543	436,105
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	238,994	81,551	342,433	115,092
მიღებული სესხები	23,704,325	8,088,557	26,224,462	8,814,056
	23,943,319	8,170,108	26,566,895	8,929,148

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება. კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკონტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. შედეგების მიხედვით კომპანია დგამს ნაბიჯებს კაპიტალის ზოგადი სტრუქტურის დასაბალანსებლად, კაპიტალში შენატანების ან ახალი სესხების აღებით, ან არსებული სესხების შემცირებით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებითა და ფული და ფულის ეკვივალენტებით (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მართვის მიზნით, კომპანია მონიტორინგს უკეთებს მომხმარებლების ვადაგადაცილების სტატუსს. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: დამფინანსებელი არის სახელმწიფოს ფლობილი იურიდიული კომპანია თუ სხვა იურიდიული პირი. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად (ლარი):

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში/ევროში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	70,882	-	-	70,882
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	720,354	-	-	720,354
	791,236	-	-	791,236
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	37,233	201,761	-	238,994
მიღებული სესხები	-	10,994,037	12,710,288	23,704,325
	37,233	11,195,798	12,710,288	23,943,319
სავალუტო პოზიცია	754,003	(11,195,798)	(12,710,288)	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად (ევრო):

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	24,187	-	-	24,187
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	245,804	-	-	245,804
	269,991	-	-	269,991
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,705	68,846	-	81,551
მიღებული სესხები	-	3,751,463	4,337,094	8,088,557
	12,705	3,820,309	4,337,094	8,170,108
სავალუტო პოზიცია	257,286	(3,820,309)	(4,337,094)	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად (ლარი):

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	589,080	-	141	589,221
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	708,322	-	-	708,322
	1,297,402	-	141	1,297,543
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	140,672	201,761	-	342,433
მიღებული სესხები	-	9,968,754	16,255,708	26,224,462
	140,672	10,170,515	16,255,708	26,566,895
სავალუტო პოზიცია	1,156,730	(10,170,515)	(16,255,567)	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად (ევრო):

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი/ევროში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	197,990	-	48	198,038
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	238,067	-	-	238,067
	436,057	-	48	436,105
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47,280	67,812	-	115,092
მიღებული სესხები	-	3,350,504	5,463,552	8,814,056
	47,280	3,418,316	5,463,552	8,929,148
სავალუტო პოზიცია	388,777	(3,418,316)	(5,463,504)	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია (ლარი):

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი 20%	ლარი/ევრო -20%	ლარი/ევრო *-20%
მოგება/ზარალი	(2,239,160)	2,239,160	(2,542,058)	2,542,058

2024 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია (ევრო):

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი 20%	ლარი/ევრო -20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(764,062)	764,062	(867,419)	867,419

2023 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია (ლარი):

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი 20%	ლარი/ევრო -20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(2,034,103)	2,034,103	(3,251,113)	3,251,113

2023 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია (ევრო):

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი 20%	ლარი/ევრო -20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(683,663)	683,663	(1,092,701)	1,092,701

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი, რომელიც ეფუძნება სახელშეკრულებო დაუდისკონტირებელ დასაფარ ვალდებულებებს.

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში/ევროში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში წარმოდგენილია შემდეგნაირად (ლარი):

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	238,994	-	238,994
მიღებული სესხები	23,704,325	-	23,704,325
	23,943,319	-	23,943,319

ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ევროში წარმოდგენილია შემდეგნაირად (ევრო):

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	81,551	-	81,551
	8,088,557	-	8,088,557
	8,170,108	-	8,170,108

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში წარმოდგენილია შემდეგნაირად (ლარი):

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	342,433	-	342,433
მიღებული სესხები	1,601,546	30,133,476	31,735,022
	1,943,979	30,133,476	32,077,455

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ევროში წარმოდგენილია შემდეგნაირად (ევრო):

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	115,092	-	115,092
მიღებული სესხები	538,280	10,127,878	10,666,158
	653,372	10,127,878	10,781,250

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი/ევროში)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	ჰესი და ელ. გადამცემი ხაზები	დანადგარები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	259,260	40,038,814	267,784	101,637	443,840	41,111,335
შემოსვლა	-	-	-	-	7,768	7,768
გასვლა	-	-	-	-	(42,850)	(42,850)
31 დეკემბერი 2023	259,260	40,038,814	267,784	101,637	408,758	41,076,253
შემოსვლა	-	-	-	117,000	5,423	122,423
31 დეკემბერი 2024	259,260	40,038,814	267,784	218,637	414,181	41,198,676
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	(5,083,446)	(200,905)	(70,954)	(88,854)	(5,444,159)
ცვეთა	-	(965,952)	(21,562)	(12,124)	(17,661)	(1,017,299)
31 დეკემბერი 2023	-	(6,049,398)	(222,467)	(83,078)	(106,515)	(6,461,458)
ცვეთა	-	(990,796)	(16,170)	(23,484)	(3,611)	(1,034,061)
31 დეკემბერი 2024	-	(7,040,194)	(238,637)	(106,562)	(110,126)	(7,495,519)
საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	259,260	33,989,416	45,317	18,559	302,243	34,614,795
31 დეკემბერი 2024	259,260	32,998,620	29,147	112,075	304,055	33,703,157

ძირითადი საშუალებები ევროში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	ჰესი და ელ.გადამცემი ხაზები	დანადგარები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	89,884	13,881,159	92,839	35,237	153,876	14,252,995
შემოსვლა	-	-	-	-	2,734	2,734
გასვლა	-	-	-	-	(15,080)	(15,080)
კურსის ცვლილების ეფექტი	(2,747)	(424,091)	(2,837)	(1,077)	(4,146)	(434,898)
31 დეკემბერი 2023	87,137	13,457,068	90,002	34,160	137,384	13,805,751
შემოსვლა	-	-	-	39,742	1,842	41,584
კურსის ცვლილების ეფექტი	1,330	205,258	1,373	703	2,104	210,768
31 დეკემბერი 2024	88,467	13,662,326	91,375	74,605	141,330	14,058,103
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	(1,762,393)	(69,653)	(24,600)	(30,805)	(1,887,451)
ცვეთა	-	(339,932)	(7,588)	(4,267)	(6,215)	(358,002)
კურსის ცვლილების ეფექტი	-	69,119	2,470	945	1,220	73,754
31 დეკემბერი 2023	-	(2,033,206)	(74,771)	(27,922)	(35,800)	(2,171,699)
ცვეთა	-	(336,548)	(5,493)	(7,977)	(1,227)	(351,245)
კურსის ცვლილების ეფექტი	-	(32,551)	(1,165)	(462)	(552)	(34,730)
31 დეკემბერი 2024	-	(2,402,305)	(81,429)	(36,361)	(37,579)	(2,557,674)
საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	87,137	11,423,862	15,231	6,238	101,584	11,634,052
31 დეკემბერი 2023	88,467	11,260,021	9,946	38,244	103,751	11,500,429

კომპანიის ქონება სრულად წარმოადგენს დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფას. ასევე, კომპანიის მიწები წარმოადგენს სს თიბისი ბანკთან გაფორმებული უზრუნველყოფის ხელშეკრულების ნაწილს.

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი/ევროში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024		31.12.2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ფინანსური მოთხოვნები				
სავაჭრო მოთხოვნები*	720,354	245,804	708,322	238,067
	720,354	245,804	708,322	238,067
არაფინანსური მოთხოვნები				
გადახდილი ავანსები	14,045	4,793	12,416	4,173
	14,045	4,793	12,416	4,173
	734,399	250,597	720,738	242,240

*რადგან ფინანსური მოთხოვნების უდიდეს ნაწილს შეადგენს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (ესკო) მიმართ არსებული მოთხოვნა - 696,998 ლარი (2023: 684,608 ლარი), კომპანიას არ შეუქმნია საკრედიტო დანახარჯების რეზერვი, რადგან მას არ გააჩნია საკრედიტო ზარალებთან დაკავშირებული წარსული გამოცდილება. ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, ესკო ექსკლუზიურად ახორციელებს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ვაჭრობას, ადგენს ელექტროენერგიის იმპორტის/ექსპორტის სეზონურ საჭიროებას და ამოწმებს საბითუმო აღრიცხვის კვანძებს. ესკო არის ახლად აშენებული ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გარანტირებული მყიდველი. სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" 100% -იანი წილის მფლობელია სახელმწიფო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ მოთხოვნას და აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024		31.12.2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ფულადი სახსრები მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ლარში	70,882	24,187	589,080	197,990
ფულადი სახსრები მიმდინარე საბანკო ანგარიშზე სხვა ვალუტაში	-	-	141	48
	70,882	24,187	589,221	198,038

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

9. კაპიტალში ცვლილებები

კაპიტალში ცვლილებები მოიცავს:

- დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ამორტიზებული ღირებულების ცვლილებას, რომელიც გამოიწვია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების გადახდის პირობების მოდიფიკაციამ, რომლის მოცულობა შეადგენს 380,238 ლარს (129,157 ევრო); (2023: 232,205 ლარს (78,044 ევრო));

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი/ევროში)

10. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გამსესხებელი	31.12.2024		31.12.2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
სს სკინესტ ჰიდრო	-	-	19,466,832	6,542,813
სკინესტ რეილ ჯორჯია	-	-	5,664,510	1,903,845
	-	-	25,131,342	8,446,658

მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გამსესხებელი	31.12.2024		31.12.2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
სს სკინესტ ჰიდრო	17,882,261	6,101,911	921,782	309,811
სკინესტ რეილ ჯორჯია	5,822,064	1,986,646	171,338	57,587
	23,704,325	8,088,557	1,093,120	367,398

მიღებულ სესხებზე წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 9%-12% შუალედში.

მიღებული სესხების დაუდისკონტირებელი ღირებულება შეიძლება წარმოდგენილ იყოს შემდეგნაირად:

გამსესხებელი	31.12.2024		31.12.2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
სს სკინესტ ჰიდრო	18,581,252	6,340,426	22,387,002	7,524,284
სკინესტ რეილ ჯორჯია	5,822,064	1,986,646	5,836,038	1,961,496
	24,403,316	8,327,072	28,223,040	9,485,780

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო
1 იანვარი 2024	26,224,462	8,814,056
მონეტარული ცვლილებები	(5,515,301)	(1,873,404)
არამონეტარული ცვლილებები		
კურსთაშორის სხვაობა	182,018	61,827
რეალური ღირებულების ცვლილება	380,238	129,157
დარიცხული პროცენტი	2,432,908	826,395
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	-	130,526
31 დეკემბერი 2024	23,704,325	8,088,557

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო
1 იანვარი 2023	26,207,973	9,086,109
მონეტარული ცვლილებები	(3,086,214)	(1,086,083)
არამონეტარული ცვლილებები		
კურსთაშორის სხვაობა	444,807	156,534
რეალური ღირებულების ცვლილება	232,203	78,044
დარიცხული პროცენტი	2,425,693	853,636
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	-	(274,184)
31 დეკემბერი 2023	26,224,462	8,814,056

სესხები უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით, გარდა შპს სკინესტ რეილ ჯორჯიასგან მიღებული სესხისა. სს სკინესტ ჰიდროს 100%-იანი წილი შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“-ში ასევე წარმოადგენს სს თიბისი ბანკთან გაფორმებული უზრუნველყოფის ხელშეკრულების ნაწილს.

2024 და 2023 წლებში კომპანიამ წინსწრებით დაფარა დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხების ნაწილი.

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი/ევროში)

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

კომპანიამ მოცემული ცვლილებები განიხილა, როგორც ფინანსური ვალდებულების პირობების არსებითი ცვლილება და აღრიცხა როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების გაუქმება და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. კომპანია სახელშეკრულებო პირობების ცვლილებებს მნიშვნელოვნად აფასებს, თუ ახალი პირობებით განსაზღვრული ფულადი სახსრების (მათ შორის ნებისმიერი საკომისიოს გათვალისწინებით) თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული დისკონტირებული ღირებულება მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულების გადაუხდელი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებისგან (შენიშვნა 4 - ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმება).

მშობელი საწარმოსგან მიღებულ სესხებს აქვთ შეღავათიანი გადახდის გრაფიკი, კერძოდ, პროცენტის და ძირითადი თანხის გადახდა ხორციელდება სესხის ვადის ბოლოს 2025 წელს. სესხების საწყისი აღიარება მოხდა სამართლიანი ღირებულებით. დისკონტირება გაკეთებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთით. სამართლიანი ღირებულების ცვლილება სესხების საწყისი აღიარებისას აღიარდა კაპიტალში დაგროვილი ზარალის მუხლში.

მიღებული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024		31.12.2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები*	219,196	74,796	250,688	84,256
სასამართლო დავაზე შექმნილი ანარიცხი	-	-	91,745	30,836
გადასახდელი ხელფასი	19,798	6,756	-	-
	238,994	81,552	342,433	115,092
არაფინანსური ვალდებულებები				
სახელშეკრულებო ვალდებულებები	136,696	46,644	136,697	45,944
	136,696	46,644	136,697	45,944
	375,690	128,195	479,130	161,036

*ჰესის მშენებლობის ფარგლებში კომპანიამ Hydro power Engineering-გან შეიძინა მეტალის კონსტრუქცია. მოწოდებული აქტივების ხარისხობრივ მაჩვენებლებთან დაკავშირებით კომპანიას ჰქონდა პრეტენზია, ამიტომ არ ახდენს ვალდებულების დაფარვას, რომლის მოცულობაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 202 ათას ლარს (2023: 202 ათასი ლარი).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას და აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

12. ამონაგები

	2024		2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ადგილობრივი ბაზარი	5,317,367	1,806,171	4,848,870	1,706,387

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი/ევროში)

12. ამონაგები (გაგრძელება)

ამონაგები მომხმარებლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024		2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	4,440,878	1,508,450	3,859,542	1,358,228
შპს ფოვერ თრედინგ კომპანი	572,820	194,572	412,787	145,266
სს ეპ ჯორჯია მიწოდება	303,669	103,149	310,412	109,238
შპს ქროს ენერჯი	-	-	266,129	93,655
	5,317,367	1,806,171	4,848,870	1,706,387

საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით, საქონელი მიეწოდება მომხმარებელს შეთანხმებულ ადგილზე - კონტროლი გადაეცემა მიღების პუნქტში, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებელზე გადაცემის დროს. შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი საქონელზე.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, შემოსავლებთან დაკავშირებულ გარიგებებში იგი არის მარწმუნებელი, რადგან კომპანიას აქვს აღებული შესასრულებელი ვალდებულება ყველა მსგავს გარიგებაში, აქვს კონტროლი ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და ატარებს საკრედიტო რისკებს.

დამატებითი ინფორმაცია ამონაგების შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

13. სხვა შემოსავალი

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდში, სასამართლოს გადაწყვეტილებით მიიღო ანაზღაურება 500,000 აშშ დოლარის ოდენობით, სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“-სგან 2019 წელს მომხდარი სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად. მიღებული შემოსავალი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია როგორც სხვა შემოსავალი. მსგავსი შემთხვევა 2023 წლის პერიოდში არ დამდგარა.

14. მიწოდებული ელექტროენერგიის თვითღირებულება

	2024		2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ცვეთა	(1,024,634)	(348,043)	(1,006,858)	(354,328)
შრომის ანაზღაურება	(517,905)	(175,919)	(482,824)	(169,913)
რემონტი და შეკეთება	(164,709)	(55,948)	(49,299)	(17,349)
დაზღვევა	(104,749)	(35,581)	(100,865)	(35,496)
სხვა	(53,806)	(18,274)	(72,446)	(25,494)
	(1,865,803)	(633,765)	(1,712,292)	(602,580)

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი/ევროში)

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024		2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(331,236)	(112,513)	(329,092)	(115,812)
პროფესიული მომსახურება	(147,740)	(50,184)	(178,364)	(62,769)
ძ.ს-ის გაუფასურების ხარჯი	-	-	(41,993)	(14,778)
ცვეთა	(9,427)	(3,202)	(10,441)	(3,674)
სხვა	(89,507)	(30,402)	(43,351)	(15,256)
	(577,910)	(196,301)	(603,241)	(212,289)

16. ფინანსური ხარჯები და შემოსავალი

	2024		2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
საპროცენტო ხარჯი	(2,432,908)	(826,395)	(2,425,693)	(853,636)
სესხებთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობა	(182,018)	(61,827)	(444,807)	(156,534)
	(2,614,926)	(888,222)	(2,870,500)	(1,010,170)

17. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა

	2024		2023	
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	(74,856)	(25,427)	(10,138)	(3,568)
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(394)	(133)	22,730	7,999
	(75,250)	(25,560)	12,592	4,431

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი		ევრო	
	მშობელი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე	მშობელი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე
მიღებული სესხები	17,882,261	5,822,064	6,101,911	1,986,646

2024 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი		ევრო	
	მშობელი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე	მშობელი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე
საპროცენტო ხარჯი	(1,853,899)	(761,027)	(629,721)	(258,501)

18. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი		ევრო	
	მშობელი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე	მშობელი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე
მიღებული სესხები	20,388,614	5,835,848	6,852,624	1,961,432

2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი		ევრო	
	მშობელი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე	მშობელი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე
მიღებული სესხები	(2,132,143)	(738,357)	(750,332)	(259,838)

უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელომ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის შეადგინა 296,878 და 272,449 ლარი (100,842 და 95,879 ევრო, შესაბამისად).

სხვა დაკავშირებული მხარეები წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა სამოქალაქო შრომითი ხასიათის სასამართლო დავა, სადაც მოსარჩელეა კომპანიის ყოფილი დასაქმებული. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და კომპანიას დაეკისრა კომპენსაცია 28 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიამ 2024 წელს აანაზღაურა აღნიშნული ვალდებულება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები, შესაბამისად კომპანიას არ აქვს შექმნილი რაიმე ანარიცხი აღნიშნულთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა - კომპანიას მისი დაკავშირებული მხარისგან (მშობელი საწარმო და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) მიღებული აქვს მნიშვნელოვანი სესხები 9%-იანი წლიური განაკვეთით. გარიგებები განიხილება როგორც „კონტროლირებადი გარიგება“ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ვინაიდან ქართული კომპანია (შპს „ჰიდრო დეველოპმენტი“) ახორციელებს ოპერაციებს მასთან დაკავშირებულ არარეზიდენტ კომპანიასთან. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია. თუმცა, ეს ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო ორგანოს მიერ და შედეგად, მათ შეიძლება დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები და შესაბამისი ჯარიმები. საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების კორექტირება არის თანხა, რომელიც გამოითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის საფუძველზე - ითვლება მოგების განაწილებად და, შესაბამისად, ექვემდებარება დაბეგვრას მოგების გადასახადით (15%). საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც გაფორმებულია საქართველოს სახელმწიფოსთან - 2012 წლის 23 იანვარ კომპანიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც შემდგომ შესწორდა 2013 წლის 26 ივლისსა და 2016 წლის 21 ოქტომბერს დადებული შეთანხმებების საფუძველზე. ბოლო შეთანხმების შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს შემდეგი იურიდიული პირები დაემატა: სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო), სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ და შპს „ენერგოტრანსი“.

მემორანდუმი ეხება კინტირმა ჰესის მშენებლობას, ოპერირებასა და ფლობა (ოპერირებას) საქართველოს ტერიტორიაზე. მემორანდუმის მიხედვით კომპანიამ უნდა:

- უზრუნველყოს ყველა საჭირო ტექნიკური, ეკონომიკური და იურიდიული საკითხების შესწავლა, ექსპერტიზა და ანალიზი. უზრუნველყოს მის მიერ შემუშავებული ტექნიკურ, ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებზე ანგარიშების მთავრობისთვის მიწოდება;

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

- საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის შემდეგ (ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში) შემდეგ თვეებში: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი - ელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული ოდენობის რეალიზაციას კომპანია განახორციელებს ექსკლუზიურად „ესკოზე“ საწყისი ექსპლუატაციის ფარგლებში მოქმედი „ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების“ შესაბამისად. ხოლო ესკო ვალდებულია შეისყიდოს ელექტროენერგია მიწოდების პუნქტში ტარიფით. 6 (ექვსი) აშშ ცენტი- 1 კვტ. საათი;

მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, გააუქმოს აღნიშნული მემორანდუმი თუ კომპანიის მიერ მთავრობისთვის წარდგენილი ან მთავრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციით/დოკუმენტაციით აშკარაა, რომ კომპანიის მიერ არ ხორციელდება მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად საჭირო ქმედებები;

აღნიშნული მემორანდუმის შეწყვეტა განაპირობებს:

ა. შესაბამისი (კომპანიისთვის გადაცემული) მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაბრუნებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ თავდაპირველი მესაკუთრე არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა;

ბ. კომპანიისთვის პროექტის განხორციელების უფლების ჩამორთმევას;

ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 20 წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები - კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შესრულებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია შეფასდეს ის პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შედეგად. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ აქვს.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

მხარდაჭერის წერილი - კომპანიამ 2025 წლის 24 მარტს მიიღო ფინანსური მხარდაჭერის წერილი მფლობელისგან. ამ წერილის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, მფლობელი მზად არის უზრუნველყოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა.

სესხების დაფარვა - კომპანიამ დაფარა მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხების ნაწილი 389,525 ლარის (132,917 ევრო) ოდენობით.